

კახეთის მხარე

(ახმეტის, თელავის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები)

პასპორტი

2007 წელი

შინაარსი:

		გვერდი
1	მხარის ზოგადი დახასიათება	3
2	ხელისუფლება	3
3	მოსახლეობა და დასაქმება	4
4	განათლება და კულტურა	8
5	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები	11
6	კახეთის მხარის ეკონომიკა	12
	6.1 ბიუჯეტი	13
	6.2 მრეწველობა	17
	6.3 სოფლის მეურნეობა	20
	6.4 ექსპორტი	24
	6.5 ტრანსპორტი	25
	6.6 კავშირგაბმულობა	26
	6.7 ენერგეტიკა	27
	6.8 სასტუმროები	28
	6.9 საფინანსო-საბანკო მომსახურება	28
	6.10 საინფორმაციო სერვისი	29
7	მინერალური და რეკრეაციული რესურსები	30
8	საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა	33
9	ეკონომიკური განვითარების ინდიკატური მაჩვენებლები	34
10	საინვესტიციო პოტენციალი	36

1. მხარის ზოგადი დახასიათება

ტერიტორიის ფართობი – 11379 კმ²

ადმინისტრაციული ცენტრი – თელავი

მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის – 150 კმ

კლიმატი – ჰავა სუბტროპიკული, ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 13⁰ჩ. ატმოსფერული ნალექების რაოდენობა 400-800 მმ.

წყლის ძირითადი არტერიები: მდ. ალაზანი, რომლის სიგრძე მინგეჩაურის წყალსაცავამდე 351 კმ-ია. მსხვილი შენაკადებიდან აღსანიშნავია: ილტო (43 კმ), ხოდაშნისხევი (31 კმ), სტორი (38 კმ), თურდო (28 კმ), ჩელთი (28 კმ), ლოპოტა (33 კმ), კისისხევი (37 კმ), დურუჯი (26 კმ), ჭერმისხევი (35 კმ), კაბალი (48 კმ).

მდინარე იორი, რომლის სიგრძეა 320 კმ, მსხვილი შენაკადებია მდ. გომბორი (13 კმ), ლაბინხევი (10 კმ), ლაკბე (32 კმ), ოლე (29 კმ).

2. ხელისუფლება

კახეთის მხარეში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული. მისი ფუნქციებია, უზრუნველყოს რეგიონში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კოორდინაცია, რესურსების მობილიზება, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-

ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ორგანიზება, ინვესტიციების მოზიდვისა და რეფორმების განხორციელების ხელშეწყობა, ადამიანის უფლებების დაცვა და სხვა.

მხარეში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (გამგეობა) ორგანოების მიერ შემდეგი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით:

- თელავის მუნიციპალიტეტი;
- ახმეტის მუნიციპალიტეტი
- გურჯაანის მუნიციპალიტეტი;
- ყვარლის მუნიციპალიტეტი;
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი;
- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი;
- საგარეჯოს მუნიციპალიტეტი;
- სიღნაღის მუნიციპალიტეტი.

3. მოსახლეობა და დასაქმება

მოსახლეობის რიცხოვნობა 2006 წლის 1 იანვრისათვის – 409551 კაცი.

აქედან: ქალაქის მოსახლეობა – 86210 კაცი; სოფლისა – 323341 კაცი.

მოსახლეობის სიმჭიდროვე 2006 წლის 1 იანვრისათვის – 36 კაცი.

მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობიდან:

დასაქმებულია ეკონომიკაში – 204670 კაცი;

სახელმწიფო სექტორში – 26607 კაცი;

კერძო სექტორში – 178063 კაცი.

უმუშევარია – 47398 კაცი.

მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა:

ქართველები – 343 590 კაცი;

სომხები – 3441 კაცი;

რუსები – 3299 კაცი;

ოსები – 6333 კაცი;

აზერბაიჯანელები – 40344 კაცი;

უკრაინელები – 126 კაცი;

იეზიდები – 426 კაცი;

ბერძნები – 244 კაცი;

აფხაზები – 108 კაცი;

ქისტები – 8242 კაცი;

სხვადასხვა – 3398 კაცი.

მოსახლეობის რიცხოვნობა მსხვილ დასახლებებში:

ქ. თელავი – 20200

- ქ. ახმეტა – 9400
- ქ. გურჯაანი – 10700
- ქ. დედოფლისწყარო – 7724
- ქ. ლაგოდეხი – 6590
- ქ. საგარეჯო – 12566
- ქ. სიღნაღი – 2700
- ქ. წნორი – 6030
- ქ. ყვარელი – 10300

მოსახლეობის რაოდენობა

ცხრილი 1

რაიონი	წელი	მოსახლეობა		
		სულ	ქალაქი	სოფელი
1	2	3	4	5
ახმეტა	2006	44100	9400	34700
თელავი	2006	68000	20200	47800
გურჯაანი	2006	73200	10700	62500
დ/წყარო	2006	30240	7724	22516
ლაგოდეხი	2006	50300	6590	43710
საგარეჯო	2006	60396	12566	47830
სიღნაღი	2006	42652	8730	33922
ყვარელი	2006	40663	10300	30363

სულ	2006	409551	86210	323341
-----	------	--------	-------	--------

დასაქმების მაჩვენებლები

კახეთის მხარეში შრომითი რესურსი 252068 ათას კაცს შეადგენს, რაც მოსახლეობის 61.5%-ია. აქედან დაუსაქმებელია დაახლოებით – 47398 ათასი კაცი, ანუ სამუშაო ძალის 18.8%. ეკონომიკის დარგში დასაქმებულია 204670 კაცი, ანუ საერთო რაოდენობის 81.2%. საქმიანობის სექტორის მიხედვით: სასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულია – 82.1% (168035 კაცი), სამეწარმეო სექტორში – 9.5% (19440 კაცი), განათლება-ჯანდაცვის სექტორში – 6.3% (12894 კაცი), სხვადასხვა სექტორებში – 2.1% (4300 კაცი).

დასაქმებულთა რიცხვში დიდია თვითდასაქმებულთა ხვედრითი წილი (80,8%), ძირითადად ეს არის სოფლების მოსახლეობა, ვისაც აქვს 1 ჰექტარი ან მეტი ფართობის მიწის ნაკვეთი.

დემოგრაფიული მდგომარეობა

დინამიკა (2002-2005 წწ.)

№	რაიონი	2002 წ.		2003		2004		2005	
		დაბადებულია რიცხოვნობა	გარდაცვლილია რიცხოვნობა	დაბადებულია რიცხოვნობა	გარდაცვლილია რიცხოვნობა	დაბადებულია რიცხოვნობა	გარდაცვლილია რიცხოვნობა	დაბადებულია რიცხოვნობა	გარდაცვლილია რიცხოვნობა
1	ახმეტა	356	507	343	420	377	538	279	334

2	გურჯაანი	489	1169	425	1130	604	1260	589	986
3	დედოფლისწყარო	312	484	309	515	250	433	271	306
4	თელავი	501	501	477	558	610	862	555	603
5	ლაგოდეხი	388	561	375	390	542	576	544	372
6	საგარეჯო	471	650	447	650	698	661	581	480
7	სიღნაღი	225	831	202	532	341	651	298	514
8	ყვარელი	231	129	209	457	233	546	249	410
		2973	5150	2787	4652	3655	5527	3366	4005

საშუალო ხელფასი

საშუალო ხელფასი სახელმწიფო სექტორში აშშ დოლარზე გაანგარიშებით შეადგენს 82 დოლარს, კერძო სექტორში – 98 დოლარს.

საშუალო წლიური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ექსპერტული გათვლების თანახმად, შეადგენს დაახლოებით 460 დოლარს.

4. განათლება და კულტურა

მხარეში ფუნქციონირებს შემდეგი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები:

- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალი;

– თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დასაქმებულთა შორის უმაღლესი განათლება აქვს 44120 კაცს, პროფესიული – 55260 კაცს, ხოლო სრული ზოგადი განათლება – 101190 კაცს.

სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებათა რაოდენობა და პროფილი

ცხრილი 2

№	რაიონი	სკოლამდელი	დაწყებითი	საბაზო 9-წლიანი	სრული ზოგადი
1	ახმეტა	33	1	8	19
2	თელავი	20	3	2	30
3	გურჯაანი	41		1	26
4	დედოფლისწყარო	19		–	15
5	ლაგოდეხი	28		6	21
6	საგარეჯო	29		1	29
7	სიღნაღი	23	2	2	21
8	ყვარელი	23		12	15
	სულ	216	6	32	176

კულტურული ღირსშესანიშნაობები:

თეატრები:

– თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი;

- გურჯაანის თოჯინების სახელმწიფო თეატრი;
- გურჯაანის რაიონის სოფ. ველისციხის სახალხო თეატრი;
- საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებული სახალხო თეატრი;
- საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებული თოჯინების თეატრი.

მუზეუმები:

- თელავის გ. ჩუბინაშვილის სახელობის მუზეუმი;
- წინანდლის ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი;
- ერეკლე II-ის სამეფო რეზიდენცია;
- გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;
- ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმი;
- დიდების საბრძოლო მუზეუმი (გურჯაანი);
- იოსებ ნონეშვილის სახლ-მუზეუმი (კარდენახი);
- ივ. ბერიტაშვილის სახლ-მუზეუმი;
- რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი (ახმეტა, სოფ. ქისტაური);
- მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (ახმეტა, სოფ. ქვ. ალვანი);
- მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (თუშეთი, ომალო);
- გოგლა ლეონიძის სახელობის მემორიალური მუზეუმი (საგარეჯო, სოფ. პატარძეული);
- საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;
- ილია ჭავჭავაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;
- კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმი (ყვარელი);

- ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმი (დ/წყარო, სოფ. მირზაანი);
- ვანო სარაჯიშვილის სახლ-მუზეუმი (სიღნაღი);
- ვასო გოძიაშვილის სახლ-მუზეუმი (სიღნაღი, სოფ. ვაქირი);
- იროდიონ ევდოშვილის სახლ-მუზეუმი (სიღნაღი, სოფ. ბოდბისხევი);
- სანდრო მირიანაშვილის სახლ-მუზეუმი (ქ. სიღნაღი);
- სანდრო შანშიაშვილის სახლ-მუზეუმი (სიღნაღი, სოფ. ჯუგაანი).

5. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

კახეთის მხარე მდიდარია ისტორიული ძეგლებით. აქ განთავსებულია საქართველოში არსებული ხუროთმოძღვრული ძეგლების 2/3, მათ შორისაა: ძველი შუამთის (V-VII სს.) და ახალი შუამთის (XVI ს.) მონასტრები, იყალთოს სამონასტრო კომპლექსი (XI-XII სს.), ბახტრიონის ციხე-გალავანი (XII ს.), ალავერდის ანსამბლი (XI ს.), მატნის ცხრაკარის მონასტერი (V ს.), გრემის მთავარანგელოზის ტაძარი (1565 წ.), ნეკრესის სამონასტრო ანსამბლი (IV-IX სს.), დავით გარეჯის სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსი (VI ს.), უჯარმის ციხე-ქალაქი (VI ს.), ბოდბის გამოქვაბულთა კომპლექსი (XI-XIII სს.), წმ. ნინოს სამონასტრო კომპლექსი, ხირსის მონასტერი, თამარის ციხე (შუა საუკუნეები), სიღნაღის ციხე (შუა საუკუნეები), ხორნაბუჯის ციხე (ადრეული შუა საუკუნეები) და სხვ.

6. კახეთის მხარის ეკონომიკა

კახეთი ეკონომიკური პოტენციალით არის საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი რეგიონი. მდიდარმა და მრავალფეროვანმა ბუნებრივმა პირობებმა განსაზღვრა კახეთის სამეურნეო პროფილი და ადგილი შრომის შიდასახელმწიფოებრივ დანაწილებაში, რაც გამოიხატა, უპირველეს ყოვლისა, ამ კუთხის სპეციალიზაციაში სასოფლო-სამეურნეო, განსაკუთრებით მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით. მნიშვნელოვანია ასევე მარცვლეული კულტურების წარმოება და მეცხოველეობა.

მხარის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის განმსაზღვრელი ადგილის გამო განვითარებულია კვების მრეწველობა, რომელშიც ძირითადი წილი ღვინის მრეწველობაზე მოდის. გარდა ამისა, აღსანიშნავია ნავთობისა და გაზის მოპოვება საგარეჯოსა და დ/წყაროს რაიონებში. დედოფლისწყარო ცნობილია ასევე კირქვის მოპოვება-გადამუშავებით. ფიქალ-მარმარილოს მოპოვება-გადამუშავება წარმოებს თელავის რაიონში. ახმეტის რაიონი ოდითგანვე ცნობილია ხე-ტყის დამუშავებით და ხის ნაწარმის წარმოებით.

ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ვაჭრობა, რომლის მოცულობა 46 მლნ ლარს შეადგენს და მომსახურების სფერო, რომლის მოცულობა 20 მლნ ლარით განისაზღვრება. ბოლო პერიოდში შესამჩნევია ასევე მშენებლობის მასშტაბების ზრდა.

რეგიონალური პროდუქტი განისაზღვრება 1 100 მლნ-მდე ლარით და ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 2500 ლარს.

6.1. ბიუჯეტი

შემოსულობები (ათასი ლარი)

№	რაიონი	წლები	საგადასახადო შემოსავალი	არასაგადასახადო შემოსავალი	კაპიტ. შემოსავლები	სხვა არაკლასიფ.	სულ
1	თელავი	2004	4034.9	189.6		1181.9	5406.4
		2005	4494.1	921.6	–	1407.3	6823.0
		2006	4007.0	473.1	563.6	3616.1	8659.8
		2007	4420.0	475.0	383.0	–	5278.0
2	ახმეტა	2004	773.6	114.8	–	2143.3	3031.7
		2005	1601.2	450.3		1621.6	3673.1
		2006	1514.3	467.9	177.8	176.2	2336.2
		2007	1795.0	910.0	100.0		2805.0
3	საგარეჯო	2004	3439.6	133.2		115.2	3688.0
		2005	2190.6	1049.8		739.7	3980.1
		2006	2203.5	936.8	278.0	325.6	3743.9
		2007	1910.0	907.0	100.0		2917.0
4	დედოფლისწყარო	2004	1864.0	48.5		771.4	2683.9
		2005	1613.9	391.0		1482.8	3487.7
		2006	1892.2	259.7	303.8	271.8	2727.5
		2007	2074	530	400.0	388	3392
5	სიღნაღი	2004	1101.2	41.8		2672.8	3815.8
		2005	1221.7	165.7		2329.2	3716.6

		2006	1739.6	122.7	476.4	745.6	3084.3
		2007	1753.0	1172.7	778.8		3704.5
6	გურჯაანი	2004	1967.5	208.0		2650.3	4825.8
		2005	1348.2	367.9		2376.2	4092.3
		2006	2492.6	794.1	289.5	1603.6	5179.8
		2007	2204.0	246.7	257.6	283.3	2991.6
7	ლაგოდეხი	2004	750.5	63.7	14.7	2813.6	3642.5
		2005	724.7	125.3		2520.3	3370.3
		2006	1087.0	195.8	408.8	1452.6	3144.2
		2007	1201.0	114.0	70.0	341.0	1726.0
8	ყვარელი	2004	988.8	47.2		2163.5	3199.5
		2005	1131.1	452.5		1412.2	2995.8
		2006	1352.0	342.5	589.8	1105.1	3389.4
		2007	1483.0	861.5	239.0	303.0	2886.5
	სულ რეგიონი	2004	14920.1	846.8	14.7	14512.0	30293.6
		2005	14325.5	3924.1		13889.3	32138.9
		2006	16288.2	3592.6	3087.7	9296.6	32265.1
		2007	16840.0	5216.5	2328.4	1315.3	25700.6

გადასახდელები (ათასი ლარი)

№	რაიონი	წლები	საერთო დანიშნულების სახ. მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი	განათლება	ჯანმრთელობის დაცვა	სოც.დაზღვევა და სოც.ზრუნველყოფა	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	კულტურა, სპორტი	სათბობ-ენერგეტ.კომპლექსი	სოფლის მეურნეობა	სათბობ-მომმ. მრეწ. სასარგებლო წიაღის. გადამაგ. მრეწ.	გარემოს დაცვა	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	მკ. საქმიანობასთან დაკ. სხვა მომსახურება	სხვა მომსახურება	ხარჯების ჯამი
1	თელავი	2004	560.2	14.6	54.1	2335.3	320.3	234.0	290.0	1207.9		27.0					363.0	5406.4
		2005	931.1	7.9	85.1	2591.8	288.4	281.8	848.5	1214.9		5.4					468.1	6723.0
		2006	949.6	20.8	145.9	578.7	109.6	347.9	4922.1	1342.1						9.5	233.6	8659.8
		2007	1146.4	23.1	160.0	688.0	20.0	151.5	1954.5	936.7				250.0		102.9		5433.1
2	ახმეტა	2004	270.7	8.9	82.9	2127.1	134.1	39.3	58.6	198.8		23.6					34.1	2978.2
		2005	503.3	18.9	117.0	1688.2	249.4	120.0	453.8	309.2		37.1			64.5		65.9	3627.3
		2006	1069.3	36.3	92.8	338.4	65.4	90.2	197.5	279.5					59.8		46.6	2275.8
		2007	637.9	36.0	167.7	608.2	50.0	80.0	602.0	528.2				40.0		30.0	25.0	2805
3	საგარეჯო	2004	444.6	12.3	106.0	1648.9	295.9	474.8	326.6	124.7	8.2	26.1				16.7	75.3	3560.1
		2005	584.7	35.8	56.1	1949.1	94.0	534.1	379.4	280.1		17.0					49.8	3980.1
		2006	893.7	49.2	306.2	344.3	93.8	339.1	858.4	404.2		6.1					60.0	3355.0
		2007	858.5	48.8	155.7	454.2	91.0	363.1	403.3	405.5						125.0	11.9	2917.0
4	ღ	2004	559.3	10.2	77.9	1355.0	85.8	71.0	103.9	199.8		48.6					59.1	2569.6

		2005	1185.0	24.7	61.2	1525.2	60.8	122.0	55.4	294.2		33.8				70.1	3432.4
		2006	1251.6	25.4	121.4	209.3	45.1	97.7	94.7	246.4						329.2	2420.8
		2007	632.2	52.6	115.1	250.3	67.1	146.0	1292.1	290.0			8.6		300.0	238.0	3392.0
5	ხიდნაღი	2004	652.8	20.7	57.8	2046.1	263.5	130.1	98.4	407.3		–				85.6	3762.3
		2005	801.0	26.3	38.4	1626.9	112.7	141.9	266.0	421.4		29.7				142.3	3606.6
		2006	1208.0	29.0	100.9	139.9	76.9	114.9	665.5	448.7						65.5	2849.3
		2007	1024.9	43.6	157.0	346.2	75.0	178.0	1581.2	497.3			60.4			101.0	4064.6
6	გურჯაანი	2004	420.7	16.3	142.2	2645.8	234.7	224.4	420.1	521.0		17.9			27.1	155.7	4825.9
		2005	675.1	20.8	39.2	1903.7	200.9	222.1	426.9	358.8		6.3				189.3	4043.1
		2006	1348.9	47.3	109.9	257.6	156.6	186.9	1634.5	395.5						816.1	4953.3
		2007	929.8	41.1	422.6	266.5	94.0	164.5	577.0	320.0					62.0	114.1	2991.6
7	ლაგორეხი	2004	345.9	16.0	73.3	2470.8	191.3	108.4	41.9	151.1					15.1	140.6	3554.4
		2005	672.4	16.6	105.5	1892.4	125.8	131.2	77.6	218.6		35.0				82.4	3357.5
		2006	815.3	29.4	89.4	455.0	77.2	88.6	433.4	373.6	2.0	386.7				51.8	2802.4
		2007	562.8	28.0	82.4	221.2	41.0	70.0	177.8	258.4			22.0		238.3	24.1	1726.0
8	მცხეთა	2004	299.5	15.4	53.5	2171.1	108.7	62.0	108.3	264.8		15.1				101.3	3199.7
		2005	618.3	39.8	76.0	1361.8	102.0	92.7	118.0	390.5		30.0				63.7	2892.8
		2006	701.7	38.5	82.1	236.7	57.6	114.8	1135.8	670.4		8.8				7.0	3053.4
		2007	671.5	52.2	75.6	411.7	31.8	100.0	978.9	339.5			49.5			175.8	2886.5
	სულ	2004	3553.7	114.4	647.7	16800.1	1634.3	1344.0	1447.8	3075.5	8.2	158.3			58.9	1014.7	29856.6
		2005	5970.9	190.8	578.5	14539.1	1234.0	1645.8	2625.6	3487.7		194.3		64.5	–	1131.6	31662.8
		2006	8238.1	275.9	1048.6	2559.9	682.2	1380.1	9941.9	4160.4	2.0	401.6		59.8	9.5	1609.8	30369.8
		2007	6464.0	325.4	1336.1	3246.3	469.9	1253.1	7566.8	3575.6			430.5		858.2	589.9	26215.8

6.2. მრეწველობა

კახეთში მრეწველობის წამყვანი ქვედარგია კვების მრეწველობა (75%). კვების მრეწველობის წამყვანი დარგია ღვინის მრეწველობა, რომლის წილი 75-78%-ს შეადგენს, იგი წარმოდგენილია ყურძნის გადამმუშავებელი 50 მოქმედი საწარმოთი, რომლებიც განლაგებულია მევენახეობის ძირითად რაიონებში: გურჯაანში, თელავსა და ყვარელში. კახეთი ამავე დროს არის კონიაკის მრეწველობის მთავარი სანედლეულო ბაზა.

მრეწველობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საფქველ-ბურღულეულის წარმოებამ (მარცვლეულის გადამმუშავება), რაც სს „კახეთი-ფორტეს“ საექსპლოატაციოდ გადაცემამ განაპირობა. ქ. გურჯაანში საექსპლოატაციოდ გადაეცა ნატურალური კონცენტრატების ქარხანა შპს „ქართული პროდუქტი“, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა უალკოჰოლო სასმელების წარმოების მოცულობა.

გარდა ამისა, კახეთის მრეწველობა წარმოდგენილია ისეთი დარგებითაც, როგორცაა ხე-ტყის გადამმუშავება და ხის ნაწარმის წარმოება, ქიმიური მრეწველობა (საღებავები, პლასტმასის ნაკეთობები), ტყავის გადამმუშავებელი მრეწველობა და სხვ.

ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე სერიოზული მიმართულებაა ენერგეტიკის, საშენ მასალათა და ხე-ტყის წარმოების განვითარება.

სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა 2004-2006 წლებში

ლარი

№	სამრეწველო პროდუქცია	2004	2005	2006	შენიშვნა
1.	სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	11927600	12238960	21840780	
2.	ელ.ენერჯის, აირის, წყლის წარმოება და განაწილება	7861580	9720718	13053712	
3.	დამამუშავებელი მრეწველობა, აქედან:	92499100	93489516	88074181	
	ა) საკვები პროდუქტების (სასმელების ჩათვლით) წარმოება	88522300	90411616	84753901	
	აქედან: ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების წარმოება	70272000	79591486	62525573	
	ბ) ტყავის, ტყავის ნაწარმის წარმოება	297000	92000	184030	
	გ) ხე-ტყის დამუშავება და ხის ნაწარმის წარმოება	2350400	2274900	2455950	
	დ) ქიმიური მრეწველობა (სადეზინფექციის წარმოება, პლასტმასის ნაკეთობათა წარმოება)	380000	542900	558450	
	ე) ლითონის მზა ნაწარმის წარმოება	231400	259500	260500	
	ვ) სხვა დანარჩენი	718000	1083164	513199	
	სულ	112288280	116623758	123620522	

სამრეწველო საწარმოთა ძირითადი მაჩვენებლები

ცხრილი 3

	დასახელება	მცირე საწარმოები (20 კაცამდე)			საშუალო საწარმოები (20-100 კაცი)			მსხვილი საწარმოები (100-ზე მეტი კაცი)			სულ მოქმედი საწარმოები		
		საწარმოთა რაო- ბა	დასაქმებულთა რაო- ბა	წარმოებული პროდუქცია (ათ.ლარი)	საწარმოთა რაო- ბა	დასაქმებულთა რაო- ბა	წარმოებული პროდუქცია (ათ.ლარი)	საწარმოთა რაო- ბა	დასაქმებულთა რაო- ბა	წარმოებული პროდუქცია (ათ.ლარი)	საწარმოთა რაო- ბა	წარმოებული პროდუქცია (ათ.ლარი)	დასაქმე- ბულთა რაოდენობა
												2006 წელი	2006 წელი
1	სამთომომპოვებელი მრეწველობა და კარიერების დამუშავება				5	265	2647.5	1	280	19193.3	6	21840.8	545
2	ელექტროენერჯის, აირის, წყლის წარმოება და განაწილება	24	409	13053.7							24	13053.7	409
3	ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების წარმოება				50	2250	62525.6				50	62525.6	2250
4	ლუდის წარმოება	1	19	45.1							1	45.1	19
5	თამბაქოს ნაწარმის წარმოება	1	8	1200.0							1	1200.0	8
6	უალკოჰოლო სასმელების წარმოება	48	211	202.0	1	25	1500.0				49	1702.0	137
7	ნაყინის წარმოება				1	37	660.7	1	100	1022.9	2	1682.9	137
8	საფქველ-ბურღულეულის წარმოება	8	52	771.2				1	170	7078.3	9	7849.5	222

9	პურისა და ფუნთუშეულის წარმოება	72	324	1679.8							72	1679.8	324
10	ხორცის, ხორცის პროდუქტებისა და რძის წარმოება	16	195	7042.2							16	7042.2	195
11	ტყავის წარმოება	1	20	184.0							1	184.0	20
12	ხე-ტყის დამუშავება და ხის ნაწარმის წარმოება	12	152	2455.9							12	2455.9	152
13	საღებავების, პლასტმასის ნაკეთობათა წარმოება	1	12	52.4	1	21	506.1				2	558.5	33
14	ლითონის მზა ნაწარმის წარმოება	3	16	260.5							3	260.5	16
15	სხვა დარგები	17	62	1400.7							17	1400.7	62
	სულ რეგიონში	194	1480	28347.5	58	2598	67839.9	3	550	27294.5	265	123481.2	4628

6.3. სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობა არის კახეთის ეკონომიკის წამყვანი დარგი, მოსახლეობის შემოსავლის მთავარი წყარო და მხარის მრეწველობის სანედლეულო ბაზა. აქ გამორჩეულია ორი მთავარი ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონი:

1. შიდა კახეთი – მდ. ალაზნის ველზე მევენახეობის, მარცვლეული კულტურების, მებოსტნეობის ზონა, მეცხოველეობის მნიშვნელოვანი როლით (ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად განვითარდა მეხილეობაც).

2. გარე კახეთი – მდ. ივრის ზეგანზე მეცხოველეობის, მევენახეობა-მეხილეობის ზონა, მზესუმზირის, მარცვლეული მეურნეობის, მებოსტნეობის მნიშვნელოვანი განვითარებით.

კახეთის წილად მოდის საქართველოს ვენახების საერთო ფართობის და ყურძნის მოსავლის თითქმის 50%. აქ ყოველწლიურად იკრიფება 120-150 ათასი ტონა ყურძენი. გავრცელებულია ისეთი უნიკალური ჯიშები, როგორცაა: რქაწითელი, მწვანე, ხიხვი, ქისი, საფერავი და სხვა.

მარცვლეული კულტურებიდან მნიშვნელოვანია საშემოდგომო ხორბალი და ქერი. მნიშვნელოვან კულტურას წარმოადგენს ასევე სიმინდი. მათი საშუალო წლიური მოსავლიანობა 140-180 ათას ტონას შეადგენს.

მზესუმზირის ნათესების დიდი ნაწილი მოდის დედოფლისწყაროს რაიონზე, შემდეგ - სიღნაღის, საგარეჯოს, გურჯაანისა და თელავის რაიონებზე.

კახეთისათვის ტრადიციულად მნიშვნელოვანი დარგია მეცხოველეობა, რასაც ხელს უწყობს, როგორც საზაფხულო, ისე საზამთრო საძოვრების დიდი ფართობები. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა შეადგენს 140 ათასს, წვრილფეხა პირუტყვისა (ცხვარი, თხა) - 315 ათასს, ღორისა - 70 ათასს.

წამყვანი სახეების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება 2006 წელს

ცხრილი 4

რაიონი	მარცვლეული (ათასი ტონა)	პარკოსნები	მზესუმზირა	კარტოფილი	ყურძენი	ბაღჩეული	ბოსტნეული	თხილი
თელავი	12.0	0.15	0.3	1.2	20.4	0.6	2.3	3.0
ახმეტა	13.0	0.1	0.5	2.1	5.3	0.6	1.2	0.08

საგარეჯო	5.4	0.1	1.7	0.3	6.8	6.6	0.3	
დ/წყარო	18.3	0.03	3.6	0.2	5.0	1.1	0.6	–
სიღნაღი	35.0		6.0	0.5	25.0	8.0	0.3	–
გურჯაანი	2.7	0.15	0.7	0.8	17.7	4.4	3.6	0.02
ლაგოდეხი	13.0	0.1	0.5	1.0	10.2	7.0	1.5	0.3
ყვარელი	5.0	0.03	0.2	0.1	18.6	4.7	0.8	0.2
	104.4	0.66	13.5	6.2	109.0	33.0	10.6	3.6

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოცულობა სახეების მიხედვით

სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შეადგენს 583981 ჰა-ს,

აქედან: სახნავი – 203349 ჰა-ს;

საძოვარი – 330698 ჰა-ს;

სათიბი – 2587 ჰა-ს;

მრავალწლიანი ნარგავები – 47347 ჰა-ს.

სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზების მდგომარეობა 2007 წლის 1 იანვრისათვის

რაიონი	საპრივატიზაციო მიწის ფართობი (ჰა)	პრივატიზებული მიწის ფართობი 01.10.06-ის მდგომარეობით (ჰა)		აქედან პირდაპირი მიყიდვით (ჰა)		სპეც.აუქციონით (ჰა)		ღია აუქციონით (ჰა)		პრივატიზების %
		სულ	მ.წ. 2006 წელს	სულ	2006 წელს	სულ	მ.წ. 2006 წელს	სულ	მ.წ. 2006 წელს	
თელავი	9000	3009	2400	2728	2119	181	181	100	100	33,4

ახმეტა	4076,0	1346	1021	1346	1021	–	–	–	–	33
საგარეჯო	15162	2010	1990	1811	1791	199	199			13,3
დედოფლისწყარო	34200	2431	2330	2247	2146	–	–	184	184	6,6
სიღნაღი	16696	3652	3321	3611	3280			41	41	21,9
გურჯაანი	3947	1002	900	899	797			103	103	25,4
ლაგოდეხი	11416	3763	3657	2923	2817			840	840	33
ყვარელი	7049	3489	3239	3429	3179	6,0	6,0	54	54	48,5
სულ	101546	20702	18858	18994	17150	386,0	386,0	1322	1322	20,4

მცირემიწიანი (1.25 ჰა-მდე ფართობი) გლეხების რიცხოვნობა – 102900, აქედან:

თელავში – 20400 კაცი; ახმეტაში – 7980 კაცი; ყვარელში – 10130 კაცი; გურჯაანში – 14920 კაცი; საგარეჯოში – 13200 კაცი; დედოფლისწყაროში – 9500 კაცი; ლაგოდეხში – 11710 კაცი; სიღნაღში – 15060 კაცი.

მსხვილი ფერმერული მეურნეობების, ფერმერთა ასოციაციების კოოპერატივებისა და სხვა გაერთიანებების რაოდენობა – 608.

სოფლის მეურნეობის მომსახურე აგროცენტრების, სერვისცენტრების რაოდენობა, მათი მასალებითა და ტექნიკით აღჭურვილობის დონე

კახეთში შექმნილია ახალი ტექნიკით 15 აგროსაინჟინრო სერვისცენტრი:

კომბაინი – 5 ერთეული.

ტრაქტორი (ბელარუსი) 105 ცხ.ძ. – 30 ერთეული დამხმარე მოწყობილობით:

– გუთანი (სამფრთიანი) – 20;

- დისკებიანი ფარცხი - 8;
- როტაციული ფრეზი - 10;
- ლაფეტი - 8.

ტრაქტორი (ბელარუსი) 57 ცხ.ძ. - 23 ერთეული დამხმარე მოწყობილობით:

- გუთანი 2-ფრთიანი - 23;
- როტაციული ფრეზი - 8;
- დისკებიანი ფარცხი - 8;
- ლაფეტი - 7.

6.4. ექსპორტი

2004-2006 წლებში კახეთის რეგიონიდან ექსპორტირებული პროდუქციის მოცულობა (ძირითადი სახეობებისა და ქვეყნების მიხედვით)

დასახელება	განზომილების ერთეული	2004	2005	2006	შენიშვნა
ღვინო	მლნ ბოთლი	22.0	30.0	15.0	
ხე-ტყე	ათასი ლარი	400.0	403.0	380.0	
ტყავი	ათასი ლარი	-	92.0	184.0	

2004-2005 წლებში საექსპორტო ღვინის მოცულობის 80%-ი გაჰქონდათ რუსეთში. გარდა ამისა ექსპორტი ხორციელდებოდა ყაზახეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, პოლონეთში სულ – 20-მდე ქვეყანაში.

2006 წელს ცნობილი მოვლენების გამო რუსეთში ღვინის ექსპორტი მკვეთრად შემცირდა და შეადგინა მთლიანი მოცულობის 20% (I კვარტალში ემბარგოს შემოღებამდე). სამაგიეროდ, გაიზარდა სხვა ქვეყნების არეალი, რომელმაც მოიცვა 35 ქვეყანა. მათ შორის უკრაინა და ყაზახეთი, სადაც განხორციელდა ექსპორტის 50%.

ტყავის ექსპორტი ხორციელდება იტალიაში.

6.5. ტრანსპორტი

კახეთში კარგადაა განვითარებული საავტომობილო ტრანსპორტი. სამგზავრო გადაზიდვებს ემსახურება 20-მდე სატრანსპორტო საწარმო. სერიოზულ სიძნელეს ქმნის აღურიცხავი კერძო ტაქსების სიმრავლე (როგორც ადგილობრივი, ისე საქალაქთაშორისო მარშრუტების), რის გამოც შემოსავლები 2004 წელს 2000 ათასი ლარიდან 2006 წელს 611 ათას ლარამდე შემცირდა.

ადმინისტრაციული ცენტრი თელავი დედაქალაქს უკავშირდება ორი გზით – გომბორის უღელტეხილის გადასასვლელით და გომბორის ქედის გარსშემოვლით გზით (თელავი-გურჯაანი-თბილისი). გურჯაანი-თბილისის გზის მონაკვეთი დაფარულია ახალი ასფალტით, თელავი-გომბორი-ვაზიანის გზის მონაკვეთს (97 კმ) ესაჭიროება რეაბილიტაცია.

სახელმწიფო მნიშვნელობის გზების სიგრძეა 580 კმ, რომელთა მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და პასუხობენ საშუალო სტანდარტებს.

საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო მაგისტრალის სიგრძეა – 125 კმ.

კახეთში თავის დროზე კარგად იყო განვითარებული აგრეთვე სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტი. დღეისათვის რეგიონის ჩიხური მდებარეობის გამო სარკინიგზო გადაზიდვების ტარიფები საკმაოდ მაღალია და იგი ფუნქციონირებს უმნიშვნელო დატვირთვით.

რკინიგზის სიგრძეა 150 კმ, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია.

ასევე სავალალოა საჰაერო ტრანსპორტის მდგომარეობა. მხარეში არსებული აეროპორტებიდან მოქმედია თელავის აეროპორტი, რომელიც მხოლოდ შვეულმფრენებისათვის გამოიყენება. აღსანიშნავია, რომ თელავის აეროპორტის ინფრასტრუქტურა მთლიანად შენარჩუნებულია და მცირე ინვესტიციებით შესაძლებელია მისი სრულად ამოქმედება.

6.6. კავშირგაბმულობა

კახეთის რეგიონის ყველა რაიონის ტერიტორიაზე მოქმედებს საერთაშორისო საქალაქთაშორისო სატელეფონო ქსელი, თელავსა და გურჯაანში დანერგილია თანამედროვე ჩიხური ტექნოლოგიები (ციფრული სატელეფონო ქსელი).

ტერიტორია მთლიანად არის მოქცეული „მაგთიკომისა“ და „ჯეოსელის“ დაფარვის ზონაში.

6.7. ენერგეტიკა

რეგიონი მთლიანადა ელექტროფიცირებულია. როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობას ელექტროენერგია 24-საათიანი გრაფიკით მიეწოდება. დღე-ღამეში მოხმარება შეადგენს 18-20 მგვტ-ს.

კახეთში ფუნქციონირებს 4 ჰიდროელექტროსადგური: ახმეტის რაიონში - „ხადროჰესი“, რომელიც სრული დატვირთვის შემთხვევაში გამოიმუშავებს 24 მგვტ ელენერგიას, ყვარლის რაიონში - „ინწობაჰესი“, 1 მგვტ სიმძლავრის, ლაგოდეხის რაიონში - „კაბალჰესი“, 1.5 მგვტ სიმძლავრის და გურჯაანის რაიონში - „ალაზანჰესი“, 1.5-2.5 მგვტ სიმძლავრის.

ქალაქებში თელავში, გურჯაანში, საგარეჯოში დასრულდა და დანარჩენ რაიონულ ცენტრებში მიმდინარეობს ინდივიდუალური გამრიცხველიანება, რომელიც ხელს შეუწყობს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის მაქსიმალურად ამოღებას (დღეისათვის ეს მაჩვენებელი 60-70% შეადგენს).

ყველა რაიონული ცენტრი (ქალაქები), ახმეტის გარდა, უზრუნველყოფილია ბუნებრივი აირით გაზმომარაგების ცენტრალური სისტემით. სისტემაში ჩართულია ქალაქის მოსახლეობის 88%, საიდანაც დაახლოებით 60%-ს მიეწოდება ბუნებრივი აირი და სოფლის მოსახლეობის 23%, საიდანაც გაზი მიეწოდება 35%-ს.

მოსახლეობის ძირითადი ნაწილი – 65% იყენებს თხევად საწვავს (თხევად გაზს), ხოლო დაახლოებით 20% - მხოლოდ მყარ საწვავს (შეშას). საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის შეშას მოიხმარს მოსახლეობის 98%. ამ საკითხში ქალაქის და სოფლის მოსახლეობას შორის თითქმის არანაირი განსხვავება არ არის.

6.8. სასტუმროები

კახეთში არის 4 სასტუმრო, აქედან: თელავში – 2 (62-ადგილით); სიღნაღში – 1 (18-ადგილით); გურჯაანში – 1 (25-ადგილი). გარდა ამისა, ფუნქციონირებს 28-ადგილიანი 2 სასტუმრო სახლი თელავში და 640-ადგილიანი 83 საოჯახო სასტუმრო: თელავის რაიონში – 21, (157 ადგილი), სიღნაღის რაიონში - 27 (152 ადგილი), გურჯაანის რაიონში – 6 (106 ადგილი), ახმეტის რაიონში - 5 (36 ადგილი), ყვარლის რაიონში - 13 (77 ადგილი), ლაგოდეხის რაიონში - 1 (16 ადგილი), საგარეჯოს რაიონში - 2 (32 ადგილი), დედოფლისწყაროს რაიონში - 8 (64 ადგილი).

სულ რეგიონში არის 89 განთავსების საშუალება (385 ოთახი, 773 ადგილი).

6.9. საფინანსო-საბანკო მომსახურება

კახეთის ტერიტორიაზე მოქმედებს კომერციული ბანკის 9 ფილიალი და 3 საკრედიტო დაწესებულება, რომლებიც თავიანთ მომხმარებელს სთავაზობენ სრულ საბანკო მომსახურებას.

№	რაიონი	ბანკი	საკრედიტო დაწესებულება
1	თელავი	„თი-ბი-სი“; „პროკრედიტბანკი“; „სტანდარტბანკი“; „ვი-თი-ბი“ ჯორჯია; „საქართველოს ბანკი“; „ბაზისბანკი“; „სახალხო ბანკი“; ბანკი „რესპუბლიკა“	„ფინკა საქართველო“; „სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის თელავის ფილიალი“ (მიკროსაფინანსო ორგანიზაცია)

2	ახმეტა	„სახალხო ბანკი“;	
3	ყვარელი	„საქართველოს ბანკი“; „სახალხო ბანკი“; ბანკი „რესპუბლიკა“;	„კონსტანტა“
4	გურჯაანი	„საქართველოს ბანკი“; „ეროვნული ბანკის ფილიალი“; „ვი-თი-ბი“ ჯორჯია” „სახალხო ბანკი“	„კონსტანტა“; „ფინკა საქართველო“
5	საგარეჯო	„სახალხო ბანკი“	
6	სიღნაღი	„სახალხო ბანკი“	„კონსტანტა“
7	დედოფლისწყარო	„ტაო ბანკი“	
8	ლაგოდეხი	„სახალხო ბანკი“	„კონსტანტა“; „ფინკა საქართველო“

6.10. საინფორმაციო სერვისი (ინტერნეტი)

კახეთის რეგიონში ინტერნეტ ტექნოლოგიები ნაკლებადაა განვითარებული, თუმცა ყველა რაიონში არის DIAL-UP სარგებლობის საშუალება. ყველა რაიონულ გამგეობაში (ლაგოდეხის გარდა) არის DIAL-UP, ხოლო თელავში არის DIAL-UP, DSL და სატელიტიც (Telenet). რეგიონში ინტერნეტს დაბალი სიჩქარე აქვს (60-128 კბ), რადგან მაღალი სიჩქარე დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. რეგიონის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა გაყვანილი იქნეს ოპტიკური კაბელი, რომელიც უზრუნველყოფს ინტერნეტის მაღალ სიჩქარეს.

7. მინერალური და რეკრეაციული რესურსები

სასარგებლო წიაღისეული, რომელიც შესწავლილია და მზად არის ექსპლუატაციისათვის

№	საბადოს ადგილმდებარეობა	წიაღისეულის სახეობა	ექსპლუატაციაშია თუ არა
1	2	3	4
1.	თელავის რაიონი	ლოპოტის მარმარილოსმაგვარი კირქვა	ექსპლუატაციაშია
		მოსაპირკეთებელი და ნამცვეცასათვის	
		ნაფარეულის კირქვა კირისათვის	ექსპლუატაციაშია
		სააგურე თიხა	ექსპლუატაციაშია
2.	საგარეჯოს რაიონი	ნავთობი, გაზი	ექსპლუატაციაშია
		თიხა სააგურე და სადრენაუო მიწებისათვის	ნაწილობრივ ექსპლუატაციაშია
		მინ. წყალი (უჯარმა)	ექსპლუატაციაშია
3.	ახმეტის რაიონი	იღტოს მარამარილოსებური კირქვა	ექსპლუატაციაშია
		მოსაპირკეთებელი და ნამცვეცასათვის	
		ჯაბურის მარმარილოსებური კირქვა	არ მუშავდება
		დიაბაზი	არ მუშავდება
4	ყვარლის რაიონი	ინწობის სასახურავე ფიქალის და კერამზიტისათვის	არ მუშავდება
5.	ლაგოდეხის რაიონი	ჰერეთისკარის სააგურე თიხა	არ მუშავდება
6.	გურჯაანის რაიონი	(XII ბლოკზე) ნავთობი, გაზი	ექსპლუატაციაშია
		ახტალის სამკურნალო ტალახი	ექსპლუატაციაშია
7.	სიდნაღის რაიონი	ნავთობი, გაზი	ექსპლუატაციაშია
		სამშენებლო გაჯი	არ მუშავდება

		სააგურე თიხა	ნაწილობრივ ექსპლუატაციაშია
		გამარმარილოებული კირქვები (ბოდბის)	ექსპლუატაციაშია
		იგივე ალაზნის	არ მუშავდება
8.	დ/წყაროს რაიონი	ნავთობი, გაზი (მირზაანი, პატარა შირაქი, ტარიბანა)	ექსპლუატაციაშია
		საფლუსე კირქვა	ექსპლუატაციაშია
		კირქვა ცემენტისათვის	ექსპლუატაციაშია
		კირქვა კირისათვის	ექსპლუატაციაშია.
		სააგურე თიხა	ექსპლუატაციაშია.
		გაჯი სამშენებლოდ და მიწის გასანოყიერებლად	არ მუშავდება

რეკრეაციული (საკურორტო, ტურიზმის, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი და სხვა) რესურსების დახასიათება

კახეთი ტურისტული პოტენციალით მდიდარი მხარეა, რაც საშუალებას იძლევა, რომ განვითარდეს ტურიზმის შემდეგი სახეობები:

- რეკრეაციული ტურიზმი – ახმეტის, გურჯაანის, თელავის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის რაიონებში;
- სათავგადასავლო ტურიზმი – ახმეტის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის რაიონებში;
- ეკოტურიზმი – ახმეტის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის რაიონებში;
- აგროტურიზმი – ყველა რაიონში.

კახეთში არის 10 მოქმედი კურორტი:

თელავის რაიონში – „თეთრწყლები“, „თორღვას აბანო“, „კახეთი“;

ყვარლის რაიონში – „ყვარელი“, „ოქროს ველი“, „ოქტომბერი“;

გურჯაანის რაიონში – „ახტალა“, „ვეჯინი“;

საგარეჯოს რაიონში – „უჯარმა“;

დედოფლისწყაროს რაიონში – „არხილოსკალო“ და

15 საკურორტო ადგილი:

თელავის რაიონში – „სვიანა“;

ახმეტის რაიონში – „ომალო“, „ხევიჭალა“;

ყვარლის რაიონში – „ფიქალები“;

გურჯაანის რაიონში – „ვეჯინი“, „ზიარი“;

საგარეჯოს რაიონში – „გარეჯის ტბა“, „თვალთხევი“, „მანავის ცივი“, „ღორების ხევი“;

სიღნაღის რაიონში – „ბოდბე“, „ჩოტორი“;

დედოფლისწყაროს რაიონში – „მლაშე ტბა“;

ლაგოდეხის რაიონში – „კაბალგესი“, „ლაგოდეხი“.

ბოლო წლების მანძილზე აქტიურად მიმდინარეობს ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოდერნიზაცია:

- ქ. თელავში აშენდა 2 სასტუმრო, თუშეთის ეროვნულ პარკში კეთილმოეწყო 24 საოჯახო სასტუმრო, იზრდება საოჯახო სასტუმროების რიცხვი;
- მიმდინარეობს დაცული ტერიტორიების კეთილმოწყობა ტურისტების მისაღებად;

- ღვინის საწარმოებში იქმნება ღვინის ტურიზმისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა და უმჯობესდება მომსახურების ხარისხი;
- შეიქმნა კახეთის ქალაქების ახალი და მოდერნიზებულ იქნა ძველი ინფრასტრუქტურა, რაც უფრო მიმზიდველს ხდის მხარეს ტურისტებისათვის.

8. საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა

მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციები, ფონდები, დონორი ქვეყნების წარმომადგენლობები

გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში კახეთის რეგიონალური განვითარების სააგენტოსა და რწმუნებულის აპარატთან ერთად ხორციელდება კახეთის განვითარების პროგრამა, რომელიც დამტკიცებული და ხელმოწერილია 2006 წლის 22 სექტემბერს.

კახეთში სხვადასხვა პროექტებს ახორციელებენ:

CHF; არასამთავრობო ორგანიზაციები: „მერსი ქორი“, „მერლინი“, „ჯეოსიფი“, „უნარშეზღუდულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის კავშირი“; იაპონიის საელჩო, ასოციაცია „კავკასიის მერიდიანი“ „USAID“ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი, გაეროს სასურსათო პროგრამა, საერთაშორისო ორგანიზაცია „world vision“, „მსოფლიო სასურსათო პროგრამა“, შვედეთის დახმარების პროგრამა „sida“, არასამთავრობო ორგანიზაცია „ბემონი“.

განხორციელებულია საზღვარგარეთის შემდეგი პირდაპირი ინვესტიციები:

გერმანული ინვესტიცია – თელავის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის რეაბილიტაციისათვის;

ჩინური ინვესტიცია – „ხადორის“ ჰიდროელექტროსადგურისათვის;

იტალიური ინვესტიცია – „ბადაგონის“ ღვინის ქარხნისათვის;

ბულგარული ინვესტიცია – (შპს არი) დედოფლისწყაროს ზეთსახდელი ქარხნისათვის;

რუსული ინვესტიცია – „ქინძმარაულის ღვინის მარნისათვის“;

ისრაელის ინვესტიცია – გურჯაანის ყურძნის კონცენტრატების ქარხნისათვის და სხვ.

9. ეკონომიკური განვითარების ინდიკატორული მაჩვენებლები 2007-2010 წლებში

კახეთში არსებული ხელსაყრელი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით პრიორიტეტული მიმართულებებია:

- მევენახეობა-მეღვინეობა, რომელიც განმსაზღვრელი და ეკონომიკურად მეტად მნიშვნელოვანი დარგია. აქ დასაქმებულია მოსახლეობის 70%;
- გადამამუშავებელი მრეწველობის აღორძინება.

კახეთში არსებობს საკმაოდ იაფი სანედლეულო ბაზა საკონსერვო წარმოების განვითარებისათვის (ძირითადი კუტლურებია ყურძენი, ატამი, მარწყვი), მით უფრო, რომ მხარეში ამის გამოცდილება არსებობს.

სერიოზული პერსპექტივები გააჩნია ხე-ტყის წარმოება-გადამუშავებას. კახეთის ტყეები მდიდარია წიფელით, მრავლადაა წაბლი, მუხა და სხვა ძვირფასმერქნიანი ჯიშები;

- ტურიზმის განვითარება.

ტურიზმი თავის არსით დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორცაა ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა და ეკოსისტემა. კახეთში ეს სისტემები მშვენივრადაა შენარჩუნებული: მოსახლეობა სისხლხორციელად დაკავშირებულია ღვინოსთან; თითქმის ნებისმიერ კახურ ოჯახს აქვს საშუალება დაინტერესებულ მხარეს შესთავაზოს ნატურალური ღვინო; მხარეში ფუნქციონირებს ათობით ქარხანა, რომლებსაც გააჩნიათ ფართო ასორტიმენტის ღვინო და კონიაკი. ამასთან, ღვინის ქარხნები ახორციელებენ ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობას (სადგეუსტაციოებს, სასტუმროებს, აგრეთვე მომსახურების ისეთ ობიექტებს, როდესაც ტურისტი სურვილის შემთხვევაში ადგილზე გადაიხდის თანხას და ღვინის კომპანია უზრუნველყოფს პროდუქციის გაგზავნას მსოფლიოს შესაბამის ქვეყანაში).

ყოველივე ეს კარგ საფუძველს ქმნის ეგრეთ წოდებული ღვინის ტურიზმის განვითარებისათვის. ტურიზმის განვითარება მხარის მოსახლეობის ფართო ფენებს საშუალებას მისცემს, დაკავდნენ ტურისტული მომსახურების სფეროში და იმავდროულად გააგრძელონ საქმიანობა სოფლის მეურნეობაში. აქ არის მოსახლეობის დასაქმების დიდი პოტენციალი.

მხარის ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ გზად გვესახება სამონადირეო მეურნეობების შექმნა და საცხენოსნო ტურიზმის განვითარება.

10. საინვესტიციო პოტენციალი

შემუშავებულია მთელი რიგი პროექტები კახეთის მხარის ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, ენერჯეტიკის განვითარებისათვის.

მნიშვნელოვანი ინვესტიციების დაბანდებაა შესაძლებელი საშენ მასალათა, ხე-ტყის წარმოებაში, ნავთობის, გაზის მოპოვებაში, ენერჯეტიკაში (მცირე ჰესების მშენებლობა), მელიორაციაში.

ენერჯეტიკა – მელიორაცია

უმნიშვნელოვანესია ილტოს წყალსაცავის პროექტი. იგი ითვალისწინებს წყალსაცავის მოწყობას მდ. ილტოს (მდ. ალაზნის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში არსებული ილტოს სათავე ნაგებობიდან 10 კმ-ით ზევით. წყალსაცავის დანიშნულებაა ზემო ალაზნის, ქვემო ალაზნისა და ბაკურციხე-მილარის სარწყავი სისტემების დეფიციტის დაფარვა. ასევე მას აქვს ენერჯეტიკული დანიშნულება. ჰესის მოწყობის და მისი ირიგაციულ რეჟიმში მუშაობის შემთხვევაში ძირითადი პარამეტრები იქნება: დადგმული სიმძლავრე 13600 კვტ, ელენერჯის წლიური გამომუშავება 12.6 მლნ კვტსთ. ირიგაციულ რეჟიმში ჰესი იმუშავებს წელიწადში 5 თვეს, დანარჩენი 7 თვის განმავლობაში მას შეუძლია იმუშაოს მდინარის სანიტარიულ ხარჯზე. ამ შემთხვევაში მისი სიმძლავრე მიაღწევს 300 კვტ-ს, ელენერჯის გამომუშავება კი 1.5 მლნ კვტსთ-ს.

პროექტში შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ასევე სასმელი და სამეურნეო წყალმომარებაც. შესაბამისი ღონისძიებების ჩატარების შემთხვევაში მას შეუძლია დააკმაყოფილოს ახმეტის და თელავის რაიონების მოთხოვნა სასმელ წყალზე. პროექტის ღირებულება სავარაუდოდ შეადგენს 68 მლნ აშშ დოლარს.

სტორის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი – ითვალისწინებს მდ. სტორზე (მდ. ალაზნის შენაკადი) თელავის რაიონის სოფ. ლეჩურის ზედა ნაწილში 8 მგვტ სიმძლავრის ჰესის მშენებლობას. პროექტი

მნიშვნელოვანია იმით, რომ საკმაოდ იაფია (მისი ღირებულება შეადგენს 5 მლნ აშშ დოლლარს), რის გამოც საკმაოდ იაფი იქნება გამოიმუშავებული ელექტროენერჯის თვითღირებულებაც. პროექტის განხორციელების შემთხვევაში დასაქმდება 20 კაცი.

მდ. ალაზნის სარწყავი არხების დრენაჟის ვერტიკალური ჭაბურღილების პროექტი – სარწყავი არხების ფუნქციონირებისას წყლის ფილტრაციის შედეგად ხდება მიმდინარე ტერიტორიების დაჭაობება და დამარილება. დროთა განმავლობაში ეს იწვევს დიდი ტერიტორიების განადგურებას და მათ სასოფლო-სამეურნეო მიწებიდან ამოღებას.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ქართველმა მეცნიერებმა გააკეთეს ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, დააპროექტეს და განახორციელეს ზემო და ქვემო ალაზნის არხების პარალელურად მათი სადრენაჟო სისტემა ვერტიკალური ჭაბურღილების მეშვეობით. სისტემა შედგებოდა 300-მდე მძლავრი ჭაბურღილისაგან, რომელიც მიჰყვებოდა სარწყავი არხების მთელ პერიმეტერს ყოველ 500 მეტრში. თითოეული ჭაბურღილის წარმადობა შეადგენდა დაახლოებით 250-400 მ³ სუფთა სასმელ წყალს დღე-ღამეში. დღეისათვის ეს მეურნეობა თითქმის მთლიანად განადგურებულია.

ვერტიკალური ჭაბურღილების მოქმედების არეალი მოცავს თითქმის მთელი რეგიონის დასახლებულ პუნქტებს, რომელთა უმრავლესობა განიცდის სასმელი და ტექნიკური წყლის მწვავე დეფიციტს. ჭაბურღილების აღდგენა საშუალებას მოგვცემს დამატებით მივიღოთ დაახლოებით 75 მლნ ლიტრი უმაღლესი ხარისხის სასმელი წყალი დღე-ღამეში. პროექტის განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა დასაქმდეს 500-მდე მაღალკვალიფიციური სპეციალისტი და მუშა, ასევე დამხმარე სამუშაოებზე დასაქმდება კიდევ 300-მდე კაცი.

მრეწველობა

სერიოზულ საინვესტიციო წინადადებას წარმოადგენს თელავის რაიონის სოფ. ართანაში **შაბიამნის ქარხნის მშენებლობა.**

აღნიშნულ ტერიტორიაზე (ზედა მთიან ნაწილში) არის სპილენძის საბადო, რომელიც შესანიშნავი სანედლეულო ბაზაა შაბიამნის წარმოებისათვის. სპილენძის ჯერ-ჯერობით შესწავლილი მარაგი წარმოების სიმძლავრის გათვალისწინებით 21 წელს შეადგენს (ქარხნის საპროექტო სიმძლავრეა 20000 ტონა შაბიამანი წელიწადში). მასზე მოთხოვნილება საქართველოში და განსაკუთრებით კახეთში საკმაოდ მაღალია და მთლიანად დამოკიდებულია იმპორტზე. შემოტანა ხდება უკრაინიდან და რუსეთიდან.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში სრულად დაკმაყოფილდება ადგილობრივი მოთხოვნილება და შესაძლო გახდება ექსპორტის განხორციელებაც ამიერკავკასიის სხვა რეგიონებში. გარდა ამისა, ფასი არსებულ საბაზრო ფასზე მნიშვნელოვნად დაბალი იქნება (1 კგ 4.5 ლარი), რაც გავლენას მოახდენს მის ხელმისაწვდომობაზე, გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო პორდუქციის მოცულობა და გარკვეულწილად გაუმჯობესდება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა, სფეროში დასაქმდება სულ ცოტა 300 კაცი.

პროექტის ღირებულება შეადგენს 12.3 მლნ აშშ დოლარს.

ინფრასტრუქტურა

მნიშვნელოვანია **თელავი–გომბორი–ვაზიანის საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტი.** მასში გათვალისწინებულია გომბორის უღელტეხილზე 2 ცალმხრივი მიმართულების გვირაბის გაყვანა და ხიდების მშენებლობა.

პროექტის განხორციელება განტვირთავს თელავი-გურჯაანი-თბილისის გზის მონაკვეთს, რომელიც მჭიდროდ დასახლებულ სოფლებზე გადის. აქ საკმაოდ მაღალია ქვეითად მოსიარულეებთან ავტოსატრანსპორტო შემთხვევების ალბათობა, რაც მნიშვნელოვნად შემცირდება, ასევე დაიწევს ამ მონაკვეთზე ჰაერის დაბინძურების დონე. 150 კმ-დან 60 კმ-მდე შემცირდება მანძილი თელავიდან თბილისამდე, რაც მძღოლებს საშუალებას მისცემს დაზოგონ დრო, საწვავი, შეამცირონ სატრანსპორტო საშუალებათა ცვეთა. საბოლოო ჯამში ეს მათ ფინანსურ მდგომარეობაზე აისახება.

პროექტის ღირებულება 42.0 მლნ აშშ დოლარია.

სახელმწიფო დაფინანსებით ხორციელდება ისეთი პროექტები, როგორც არის: შიდა გზებისა და წყალმომარგება-კანალიზაციის ქსელების რეაბილიტაცია, გაზმომარაგება, გარე განათებების მოწყობა და სხვა. მნიშვნელოვანია ასევე ტურიზმისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა.

სოფლის მეურნეობის სფეროში (საკონსერვო წარმოება, რძის და ხორცის გადამამუშავებელი მრეწველობა) ინვესტიციების განხორციელება მძლავრ ბიძგს მისცემს დარგის განვითარებას. შესაძლებელია ასევე სიდნაღის რაიონში თევზის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა. აღსანიშნავია, რომ აქ ყოველწლიურად 2000-4000 ტონა თევზი იწარმოება.

უცხოურ ინვესტიციათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინვესტიციების მოზიდვას რეგიონის მოსახლვრე აზერბაიჯანიდან. რეალურად არსებობს ორმხრივი დაინტერესება და მიმდინარეობს მოლაპარაკება ინვესტიციების დაბანდების შესახებ შემდეგ სფეროებში:

- საშენ მასალათა და ხე-ტყის წარმოება-გადამამუშავება;

- მდინარეებზე მცირე სიმძლავრის ჰესების მშენებლობა;
- წყალსადენებისა და საირიგაციო ნაგებობების მშენებლობა;
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება-გადამუშავება;
- სასაწყობო ობიექტების მშენებლობა და სხვ.